

## საგამოძიებო რეპორტირების ასოციაცია

### გაწეული სამუშაოების ანგარიში

პროექტის მიზანი იყო, რომ დამწყებ ჟურნალისტებს, ასევე იმ პროფესიონალ ჟურნალისტებს ვისი პროფესიული შემართება არ შეესაბამება მათ მატერიალურ და პროფესიულ შესაძლებლობებს, მიეცეთ საშუალება აკეთონ მაღალი ხარისხის ჟურნალისტური საგამოძიებო რეპორტირები და საკუთარი პროდუქტი გააცნონ საზოგადოებას.

პროექტის მიზნების უზრუნველსაყოფად დაქირავებული იქნა ტექნიკა: კამერები, სპეციალური პორტატული განათება, სამონტაჟო კომპიუტერი სპეციალური ვიდეო მაგნიტოფონი გადაღებული მასალის სამონტაჟო კომპიუტერში ასატვირთად.

მოწყობილ იქნა ტექნიკური ბაზა, სადაც შესაძლებელია საინფორმაციო სიუჟეტების გადაღება და გადაღებული მასალის ეთერში განსათავსებლად მომზადება.

არსებული პროექტის განხორციელების თაობაზე ინფორმაცია განთავსდა საიტზე [www.politico.ge](http://www.politico.ge) და პროექტში მონაწილეობის მსურველი ახალგაზრდა ჟურნალისტები დაბარებული იქნენ ოფისში.

ყოფლეთვიურად ხორციელდებოდა აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება საიტზე.

დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის ჩატარდა 6 სამ დღიანი ლექცია

სემინარი თემაზე “თანამედროვე ჟურნალისტიკის საფუძვლები. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ძირითადი თავისებურებები”. ვიდეო აპარატურის მოხმარების გაცნობითი კურსი. საინფორმაციო სიუჟეტის გადაღების საფუძვლები. სამონტაჟო აპარატურის გაცნობითი კურსი. საინფორმაციო სიუჟეტის მონტაჟის საფუძვლები.

შერჩეულ თემებზე მოხდა პრაქტიკული კურსის გავლა, რომლის დროსაც კურსის სტუდენტებს სიუჟეტის მომზადების სრული ციკლის განხორციელების საშუალება ქონდათ.

მომზადებული მასალები განთავსდა საიტზე [www.politico.ge](http://www.politico.ge)

პოექტში მონაწილე სტუდენტებს საშუალება მიეცა პროექტის განხორციელების პერიოდში გაცნობოდნენ ჟურნალისტიკის თანამედროვე მიმართულებებს, გაეღრმავებინათ ტექნიკური ცოდნა და მიღებული ცოდნის საფუძველზე გაეკეთებინათ რეალური სიუჟეტები, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა საიტზე [www.politico.ge](http://www.politico.ge).

კახაბერ გიგიტელაშვილი

